სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-126 25.10.2021

ქ. თბილისი

ბრძანება

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 45, სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების მუხლი 14- მე-6 ნაწილის და მუხლი 38-ე, სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ იურისტის ხათუნა მიქაუტაძის განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მიმდინარე წლის 29 ნოემბერს გაიმართოს სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტუური თვითმმართველობის არჩევნები.

2.მწვრთნელთა ფაკულტეტიდან სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს 10 სტუდენტით, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტიდნ 6 სტუდენტით.

3.სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მსურველებმა, საარჩევნო კომისიას უნდა მიმართონ მიმდინარე წლის 16 ნოემბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით (10 დღე) უნივერსიტეტის კანცელარიაში და წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

3.1 განცხადება;

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

3.2 5 მხარდამჭერ სტუდენტთა სია ხელმოწერებით- ფაკულტეტების მიხედვით, რომელ ფაკულტეტიდანაც იყრის კენჭრს;

3.3 სტუდენტური ბარათის ასლი;

3.4 პირადობის მოწმობის ასლი.

4.დაევალოს 2021 წლის 1 ივნისის N01-70 შექმნილ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს აღნიშნული არჩევნების ჩატარება.

5.დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ვლადიმერ ბოჟაძეს, საარჩევნო კომისიის მუშაობის პროცესში მხარდაჭერა და შესაბამისი ტექნიკით უზრუნველუოფა.

6.დაევალოს მწვრთნელთა ფაკულტეის დეკანს პროფესორ ტრისტან გულბიანს და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულეტის დეკანს პროფესორ გიორგი ფარულავას აცნობოს სტუდენტებს ფაკულტეტის მიხედვით, არჩევნების თარიღი და პირობები, ასევე არჩევნებშო მონაწილეობის მსურველ სტუდენტებს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისთვის სავალდებულო პროცედურები.

რექტორი, პროფესორი ჯემალ ძაგანია